დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

# დავით ტვილდიანის

## სამედიცინო უნივერსიტეტი

# დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

# აკადემიური საბჭოს დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების სფეროებს, საბჭოს შედგენისა და საქმიანობის წესსა და პირობებს
2. მისი საქმიანობა ეფუძვნება აკადემიურ თავისუფლებას განსაზღვრულს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებითა და ამ დებულებით. აკადემიური საბჭო თავისი საქმიანობით ცდილობს უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპების დამკვიდრებას.

## მუხლი 2. აკადემიური საბჭო

1. არის ფაკულტეტის პირველადი ორგანო სამეცნიერო და პედაგოგიური აქტივობების თვალსაზრისით
2. განიხილავს სტრატეგიულ გეგმას, ფაკულტეტის აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან კონტექსტში
3. ამტკიცებს ფაკულტეტზე განსახორციელებელ სასწავლო პროგრამებს
4. ახორციელებს უფლებამოსილებას პროფესორების არჩევის პროცედურის და ნომინაციის დროს, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით
5. ახორციელებს უფლებამოსილებას სხვა სფეროებში, როგორც ეს გაწერილია შიდა რეგულაციებით

## მუხლი 3. აკადემიური საბჭოს ფორმირების წესი

1. აკადემიური საბჭო ფორმირდება უნივერსიტეტის არჩეულ პროფესორთა და ასოცირებული პროფესორთა შემადგენლობიდან.
2. ყველა დეპარტამენტი (დტსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული) მინიმუმ 1 წევრით მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი
3. აკადემიურ საბჭოს წევრთა შემადგენლობაში არიან სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო ასოციაცია SYSSA-სა და სტუდენთა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.
4. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს რექტორი და ყავს მდივანი, პასუხისმგებელი აკადემიური საბჭოს ოქმის შედგენაზე.
5. საბჭოს შეიძლება ჰყავდეს საპატიო და ასოცირებული წევრები
6. საბჭოს საპატიო და ასოცირებული წევრების წარდგენა და მოწვევის მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთება, შეიძლება წარდგენილი იქნას ვიცე-რექტორის, დეკანის ან რექტორის მიერ
7. საბჭოს წევრები უნდა იყვნენ პედაგოგები, მკვლევარები და მედიცინის სხვადასხვა სფეროს სხვა გამორჩეული სპეციალისტები
8. აკადემიური საბჭოს ასოცირებული წევრები ინიშნებიან სამედიცინო დაწესებულებებიდან, რომლებშიც სტუდენტებს უტარდებათ მეცადინეობები
9. საბჭოს საპატიო და ასოცირებულ წევრებს აქვთ საკონსულტაციო ხმის უფლება

**მუხლი 4. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება**

**აკადემიური საბჭო:**

1. განიხილავს უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვისა და განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული გეგმის ვერსიას შეფასებისა და განვითარების მიზნით
2. განიხილავს სტრატეგიულ გეგმას, ფაკულტეტის აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან კონტექსტში
3. ამტკიცებს ფაკულტეტზე განსახორციელებელ ახალ სასწავლო პროგრამებს
4. ამტკიცებს ფაკულტეტზე განსახორციელებელ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს
5. აფასებს და ამტკიცებს დოქტორანტთა პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი პროექტების „შინაარსსა“ და განხორციელების გეგმას
6. ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და დატვირთვის (პედაგოგიური) ერთიან წესს
7. ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს
8. იღებს გადაწყვეტილებებს სადისერტაციო საბჭოს შექმნის შესახებ, განსაზღვრავს და ამტკიცებს ოპონენტებისა და საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობას;
9. განიხილავს მის მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას აკადემიური ხარისხის მინიჭების (არ მინიჭების) შესახებ; კენჭს უყრის და ამტკიცებს მას.
10. იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორისა და პროფესორ ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ

**მუხლი 5. აკადემიური საბჭოს სხდომები**

1. აკადემიური საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ორჯერ მაინც
2. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
3. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება გამოცხადებულ წევრთა უბრალოდ უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს სხვაგვარად არის მოთხოვნილი (საკითხის შინაარსის გათვალისწინებით და შესაბამისი დასაბუთებით) საბჭოს თავმჯდომარის ან/და ასეთის შესახებ მიუთითებს მომხსენებელი.
4. გარდა ინფორმაციული შინაარსის მოხსენებებისა, საბჭოზე განხილულ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით მიიღება გადაწყვეტილება დადგენილი წესით და გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება.
5. საბჭოს სხდომების შედეგების და გეგმების გამოქვეყნება უნდა მოხდეს მათი დამტკიცებიდან ერთ კვირაში ოფიციალური შეტყობინების დაფაზე ან საბჭოს სხდომის ოქმებში, რომლებიც შესაძლებელია გასაჯაროვდეს
6. საბჭოს სხდომის დღის წესრიგის მომზადებას, ასევე ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ პროცედურების შესრულებას უზრუნველყოფს მდივანი.

**მუხლი 6. აკადემიური საბჭოს თანამშრომლობა აკადემიურ სტრუქტურებთან და სხვა პირებთან**

აკადემიურმა საბჭომ შესაძლებელია მოიწვიოს სხვა პირები სხდომაზე, თუ ეს აუცილებელია საკითხის გასარკვევად. მან ასევე შესაძლებელია მოითხოვოს რექტორის საბჭოს მოსაზრება.

**სადოქტორო კომიტეტთან მიმართებაში:**

1. დოქტორანტურის აკადემიურ და ადმინისტრაციულ იმპლემენტაციაზე (წესები, რეგულაციები, დამტკიცება და ა.შ) პასუხისმგებელია აკადემიური საბჭო, ხოლო იმპლემენტაციას და მართვას ახორციელებს ფაკულტეტი, სადოქტორო კომიტეტის მეშვეობით
2. აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადოქტორო კომიტეტის მიერ სადოქტორო სწავლებაზე ჩარიცხვისთვის საკონკურსო პირობებსა და პროცედურებს
3. სადოქტორო კომიტეტის წარდგინებით ამტკიცებს დოქტორანტის საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს
4. განიხილავს და ამტკიცებს სადოქტორო კომიტეტის მიერ სადისერტაციო მასალების პუბლიკაციისათვის რეკომენდებულ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემათა ნუსხას
5. სადოქტორო კომიტეტი აკადემიურ საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო საბჭოსა და ოპონენტების სავარაუდო სიას განხილვისა და დამტკიცების მიზნით
6. სადოქტორო კომიტეტი წინასადისერტაციო მზადებისა და დაცვის შედეგებს აცნობს აკადემიურ საბჭოს
7. აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადოქტორო კომიტეტის მიერ მომზადებულ დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომის ფორმას, რომელსაც გასცემს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ

**ფაკულტეტის საბჭოსთან მიმართებაში:**

1. ამტკიცებს ფაკულტეტის მიერ განსახორციელებელ აკადემიურ პროგრამებს
2. ამტკიცებს ფაკულტეტის მიერ განსახორციელებელ სარეზიდენტო პროგრამებს
3. ამტკიცებს ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ უწყვეტი პროფესიული განვითარების ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს
4. განიხილავს ფაკულტეტის საბჭოს წინადადებებს პროგრამათა მდგრადობისა და/ან განვითარების მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ
5. მოისმენს ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების ანგარიშებს

**სასწავლო დეპარტამენტთან მიმართებაში:**

1. სასწავლოდეპარტამენტი აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენსაკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და დატვირთვის (პედაგოგიური) ერთიან წესს ან ცვლილებათა პროექტს
2. სასწავლოდეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს

**მუხლი 7: დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულება დამტკიცდა და ძალაში შევიდა რექტორის 2017 წლის 30 ნოემბრის ბრძანების გამოცემის დღიდან.
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია და უნდა განხორციელდეს იმავე წესით, როგორც წინამდებარე დებულების დამტკიცებისას.

რედაქტირების თარიღი: 2024 წელი
რედაქტირების თარიღი: 2025 წელი